საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

ზუგდიდის საკრებულოს 2023 წლის საქმიანობის შეფასება

სარჩევი

შესავალი:	3
თავი 1. ძირითადი მიგნებები	4
თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ზუგდიდის საკრებულოს შესახებ	6
თავი 3. მნიშვნელოვანი მოვლენები	8
თავი 4. საკრებულოს კომისიების და ფრაქციების საქმიანობა	9
თავი 5. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი	11
თავი 6. არასრულად შევსებული დეკლარაციები და შეუთავსებელი საქმიანობა	12
თავი 7. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში	13
თავი 8. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში	15
თავი 9. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა	16
თავი 10. ზუგდიდის საკრებულოს ხარჯები	17
რეკომენდაციები	19

შესავალი:

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” აფასებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდეგში - ზუგდიდის საკრებულო) 2023 წელს გაწეულ საქმიანობას.

ანგარიში ეფუძნება საკრებულოდან გამოთხოვილ, საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებულ ინფორმაციასა და ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს.

კვლევის საანგარიშო პერიოდია 2023 წელი.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ” ზუგდიდის საკრებულოს საქმიანობა სამჯერ შეაფასა: პირველი შეფასება მოიცავდა პერიოდს 2017 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ჩათვლით, მეორე შეფასების საანგარიშო პერიოდი 2020 წელი იყო, მესამე შეფასებისა კი - 2022 წელი.

თავი 1. ძირითადი მიგნებები

- საანგარიშო პერიოდში ნაწილობრივ გაუმჯობესდა ზუგდიდის საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციები ზუგდიდის მერიისა და იურიდიული პირების საქმიანობაზე, რაც დიდწილად განაპირობა იმან, რომ საკრებულოში უმრავლესობა ოპოზიციურმა პარტიებმა ჩამოაყალიბეს, პარტია "ქართული ოცნება" კი უმცირესობაშია;

- პრობლემურია, რომ საკრებულოს მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების პროცესში არ გამოუვლენია ინტერესთა კონფლიქტი ან რაიმე სახის გადაცდომა, თუმცა საკრებულოს ცალკეული წევრები ამ საკითხებზე ღიად მსჯელობდნენ;

- საკრებულოების როლი მნიშვნელოვნად დააკნინა თვითმმართველობის კოდექსში მმართველი პარტიის ინიციირებით შესულმა ცვლილებებმა. მათ შორის ყველაზე პრობლემურია 2022 წლის დეკემბრის ცვლილებები: კოდექსის ძველი რედაქციით, საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 3 თვის ვადაში ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში უფლებამოსილება ვადამდე უწყდებოდა მერსაც და საკრებულოსაც. ცვლილებების შემდეგ კი პასუხისმგებლობა მხოლოდ საკრებულოს დაეკისრა;

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს 2023 წელს ზუგდიდის საკრებულოსთვის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ არ წარუდგენია, ანგარიშები წარადგინეს მერიის სამსახურებმა, რომელთაგან 8 სამსახურის საქმიანობა საკრებულოს კომისიებმა დადებითად შეაფასეს, ზუგდიდის მერიის "ზედამხედველობის სამსახურის" ანგარიში კი საკრებულოს ეკონომიკის ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ უარყოფითად შეაფასა;

- ზუგდიდის მერიის სამსახურების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენის შემდგომ, საკრებულომ მოამზადა და საკრებულოს ბიურომ ბრძანებით დაამტკიცა დასკვნები და რეკომენდაციები მერიის სამსახურებისა და იურიდიული პირების საქმიანობაზე;

- ზუგდიდის საკრებულომ **21** სხდომა გამართა, აქედან **9** სხდომა რიგგარეშე იყო;

- ზუგდიდის საკრებულომ **57** დადგენილება მიიღო, რომელთაგან **46** დადგენილების ავტორი/ ინიციატორი ზუგდიდის მერია იყო, **11** დადგენილებისა კი - საკრებულო;

- ზუგდიდის საკრებულომ მხარი არ დაუჭირა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **45** თანამდებობის პირიდან დეკლარაცია ხარვეზებით მხოლოდ ერთმა - ირაკლი გოგოხიამ შეავსო;

- წინა წლის მსგავსად, აქტიურად მუშაობდნენ საკრებულოს ფრაქციები: 2023 წელს საკრებულოს ფრაქციებმა ჯამში **27** წერილობითი ინიციატივა წარადგნეს, ცალკეულ შემთხვევაში ერთი ინიციატივით რამდენიმე საკითხის გადაწყვეტას ითხოვდნენ;

- ფრაქციათა საქმიანობაზე გაწეულმა ჯამურმა ხარჯმა **432,025 ლარი** შეადგინა. აქედან **403,228** ლარი ხელფასებზე გაიცა;

- საკრებულოს წევრი **14** ქალიდან თანამდებობას **7** იკავებს, მათ შორის სამი კომისიის თავმჯდომარეა, ერთი - ფრაქციის, სამი კი ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეა;

- 2022 წლის მსგავსად, 2023 წელსაც გენდერული თანასწორობის საბჭოს არ განუხორციელებია არც სამართლებრივი აქტების ანალიზი და არც ექსპერტიზა საკანონმდებლო აქტის პროექტებზე. არ შემუშავებულა გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა;

- საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სხდომების გაცდენის **210** ფაქტი დაფიქსირდა, მათ შორის **163-ჯერ** - არასაპატიო მიზეზით; საკრებულოს წევრები აცდენენ კომისიების სხდომებსაც. ჯამში გაცდენის **558** შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის **466** - არასაპატიო მიზეზით;

- არასაპატიო მიზეზით საკრებულოს ყველაზე მეტი სხდომა (**11**) არასაპატიო მიზეზით ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრმა, მამუკა ყურაშვილმა გააცდინა. კომისიის სხდომები კი (**39** სხდომა) ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილემ, ჯონი ჯიქიამ;

- 2023 წელს ზუგდიდის საკრებულოს **45** წევრიდან როგორც სიტყვით, ასევე მოხსენებით გამოსვლის უფლებით არ უსარგებლია საკრებულოს **11** წევრს.

- ზუგდიდის საკრებულოს საქმიანობაზე 2023 წელს **1,917,257** ლარი დაიხარჯა, რაც **615,027** ლარით მეტია 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. აქედან სახელფასო ანაზღაურებას **1,632,883 ლარი** მოხმარდა, მათ შორის **63,976** ლარის ოდენობის ჯილდო გაიცა საკრებულოს აპარატის თანამშრომლებზე;

- 2023 წელს საკრებულოს წევრებისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურებამ - **186,714 ლარი** შეადგინა, საწვავზე **89,892 ლარი** დაიხარჯა, სატელეფონო კომუნიკაციაზე - **4,748 ლარი**, მივლინებებზე კი - **3,020 ლარი**;

- საკრებულოს თავმჯდომარისთვის განკუთვნილი საწვავის ლიმიტი შემცირდა 700-დან 400 ლიტრამდე, მოადგილეებისა - 400-დან 350 ლიტრამდე;

- 2023 წელს ზუგდიდის საკრებულომ **89,892 ლარის** ღირებულების **33.9 ტონა** საწვავი გახარჯა. მათ შორის ყველაზე მეტი საკრებულოს თავმჯდომარემ, გიგა ფარულავამ - **4,170** ლიტრი, ფრაქციის წარმომადგენელთა შორის კი ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ, ირაკლი გოგოხიამ **1,759** ლიტრი;

- 2022 წლის ივნისიდან, საკრებულოს გადაწყვეტილებით, საკრებულოს წევრებს სატელეფონო კომუნიკაციის ხარჯები არ უნაზღაურდებათ.

თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ზუგდიდის საკრებულოს შესახებ

ზუგდიდის საკრებულოს **45** წევრი ჰყავს, რომელთაგან **15** წევრი აირჩა ადგილობრივ ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში, ხოლო **30** წევრი – პროპორციული წესით. ზუგდიდის საკრებულო ერთ-ერთია იმ წარმომადგენლობით ორგანოებს შორის, სადაც 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად მყარი უმრავლესობა ვერც ერთმა პარტიამ ვერ მიიღო.

მანდატების გადანაწილება ზუგდიდის საკრებულოში



საკრებულოს 45 წევრიდან **14** ქალია, რაც საერთო რაოდენობის **31.1** პროცენტია. საკრებულოს წევრი 14 ქალიდან თანამდებობას 7 წევრი იკავებს, მათ შორის სამი კომისიის თავმჯდომარეა, ერთი - ფრაქციის, სამი კი ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეა.

ზუგდიდის საკრებულოში საკრებულოს უფლებამოსილების ვადით შექმნილია შემდეგი **კომისიები**:

1. იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია (თავმჯდომარე - ბელა მოსია);
2. საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია (თავმჯდომარე - ბესიკ გაბუნია);
3. ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე - მაია გაწერელია);
4. განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე - მარიამ ახალაია);
5. ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია (თავმჯდომარე - გიორგი სორდია).

2023 წლის მდგომარეობით ზუგდიდის საკრებულოს 45 წევრიდან თანამდებობას **24** წევრი იკავებს, საკრებულოს სხვა წევრები კანონის შესაბამისად თავის უფლებამოსილებას უსასყიდლოდ ახორციელებენ. დეტალური ინფორმაცია თანამდებობის პირთა შესახებ იხილეთ ცხრილში.

ზოგადი სტატისტიკა:

საანგარიშო პერიოდში გაიმართა საკრებულოს **21** სხდომა, მათ შორის **9** სხდომა რიგგარეშე იყო, რომელიც მოიწვია მუნიციპალიტეტის მერმა.

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის საკრებულომ **57** დადგენილება მიიღო, რომელთაგან **46** მერიის, **11** კი - საკრებულოს ინიცირებული იყო.

ზუგდიდის საკრებულოს მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებზე ზედამხედველობის ორგანომ მოამზადა **2** დასკვნა/შენიშვნა, საკრებულომ ყველა მათგანი გაიზიარა.

საანგარიშო პერიოდში დარეგისტრირდა **2** პეტიცია, რომელზეც გადაწყვეტილება საკრებულოს ჯერ არ მიუღია.

სახელმწიფოსთვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემა:

- 2023 წლის 7 მარტს ქალაქ ზუგდიდში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 787 კვ.მ. მიწის ნაკვეთი უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს, რათა მას შემდგომში იგი საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაეცა;

- 2023 წლის 6 ოქტომბერს სოფელ ანაკლიაში მდებარე 383 კვ.მ. მიწის ნაკვეთი უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს, რათა მას შემდგომში იგი სიმბოლურ 1 (ერთ) ლარად პირდაპირ მიეყიდა ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის, რომელიც ამ ნაკვეთზე ამბულატორიას ააშენებდა;

- 2023 წლის 1 დეკემბერს ზუგდიდში, სოფელ ჭითაწყარში მდებარე 2565,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს, რომელსაც შემდგომში იგი უვადო სარგებლობის უფლებით უნდა გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის.

მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფოსთვის ქონების გადაცემის არსებული პრაქტიკა არაერთ მანკიერ მხარეს შეიცავს. ადგილობრივი თვითმმართველობები დამოუკიდებლად, ცენტრალური ხელისუფლების თანამონაწილეობის გარეშე, უნდა განკარგავდნენ მათ ტერიტორიაზე არსებულ ქონებას.

საკრებულოს მიიღო მნიშვნელოვანი დოკუმენტები:

- ზუგდიდის საკრებულომ 2023 წელს მიიღო "ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესი". ამ წესის თანახმად, ზუგდიდის მერიამ 2024 წლის 1 ივნისამდე უნდა დაეფუძნებინა ამ საკითზე მომუშავე კერძო სამართლის იურიდიული პირი (კომერციული), 2025 წლის 1 ივნისამდე კი მოაწყოს თავშესაფარი. თავშესაფრის მოსაწყობა 2025 წლის 1-ელ ივნისამდე;

- ზუგდიდის საკრებულომ მხარი არ დაუჭირა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

- ზუგდიდის მერიის სამსახურების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენის შემდეგომ, საკრებულომ მოამზადა და საკრებულოს ბიურომ ბრძანებით დაამტკიცა დასკვნები და რეკომენდაციები მერიის სამსახურებისა და იურიდიული პირების საქმიანობაზე;

ცვლილებები თანამდებობის პირთა შემადგენლობაში:

- 2023 წლის 28 დეკემბერში თანამდებობიდან გადადგა ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილე, ლაშა ბეჭვაია და მის ნაცვლად აირჩიეს ხათუნა შამუგია.

თავი 4. საკრებულოს კომისიების და ფრაქციების საქმიანობა

საკრებულოს კომისიების საქმიანობა:

ზუგდიდის საკრებულოში ხუთმა მუდმივმოქმედმა კომისიამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში **133** სხდომა გამართა. კვორუმის არარსებობის გამო კომისიის სხდომა **9-ჯერ** ჩაიშალა. შედარებისთვის: 2022 წელს მხოლოდ ერთი სხდომა ჩაიშალა.

2023 წელს სამართლებრივი აქტის 2 პროექტი წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს კომისიებმა კი საკრებულოს განსახილველად წარუდგინეს **169** საკითხი, კომისიებმა ასევე მოამზადეს 167 დასკვნა საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.



საკრებულოს ფრაქციების საქმიანობა:

ზუგდიდის საკრებულოში 2023 წელს სამი ფრაქცია მუშაობდა - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" და "ზუგდიდი საქართველოსთვის". ამ უკანასკნელ ფრაქციას არ ჰყავს თანამდებობის პირები, თუმცა ფრაქციის სამივე წევრი საკრებულოში სხვადასხვა თანამდებობას იკავებს: გიგა ფარულავა საკრებულოს თავმჯდომარეა, მალხაზ თორია - თავმჯდომარის მოადგილე, ბელა მოსია კი - კომისიის თავმჯდომარე.

2023 წელს საკრებულოს ფრაქციებმა **27** წერილობითი ინიციატივა წარადგნეს,



ფრაქციათა მიერ ინიციირებული საკითხები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

ფრაქციათა საქმიანობაზე 2023 წელს გაიხარჯა **432,025 ლარი**, ხარჯების ძირითადი ნაწილი - **403,228** ლარი შრომის ანაზღაურებაზე მოდის. 2023 წელს, ისევე როგორც 2022-ში, საკრებულოს ფრაქციებს სატელეფონო კომუნიკაციის ხარჯებით არ უსარგებლიათ.

თავი 5. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, საკრებულო უფლებამოსილია, გააკონტროლოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირთა საქმიანობა, მოუსმინოს და შეაფასოს[1] მათი ანგარიშები. მერი კი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.[2]

2023 წელს ნაწილობრივ გაუმჯობესდა ზუგდიდის საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციები მერიისა თუ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობაზე. ცალკეული საკითხების განსახილველად მერიის წარმომადგენლები საკრებულომ, კომისიებმა და ფრაქციებმა **154-ჯერ** მოიწვიეს, რაც 30 ერთეულით მეტია 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

2023 წელს საკრებულოს ეკონომიკის ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ მერის მიერ ინიციირებულ სამ საკითხს არ დაუჭირა მხარი, სამივე საკითხი ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სამი სხვადასხვა ნაკვეთის საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში შეტანას ეხებოდა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს 2023 წელს ზუგდიდის საკრებულოსთვის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ არ წარუდგენია, ანგარიშები წარადგინეს მერიის სამსახურებმა, რომელთაგან 8 სამსახურის საქმიანობა საკრებულოს კომისიებმა დადებითად შეაფასეს, ზუგდიდის მერიის "ზედამხედველობის სამსახურის" ანგარიში კი საკრებულოს ეკონომიკის ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ უარყოფითად შეაფასა.

ზუგდიდის საკრებულოს მერიის საქმიანობაში და, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, ინტერესთა კონფლიქტი ან რაიმე სახის გადაცდომა არ გამოუვლენია, თუმცა საპირისპიროზე მეტყველებს "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" მიერ გამოქვეყნებული ორი კვლევა:

- 2023 წლის ივლისში გამოქვეყნებული კვლევით დადგინდა, რომ ზუგდიდის მერის, მამუკა წოწერიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილის, დავით კუხალეიშვილის კლასელთან და მეგობართან, ზაზა ანთიასთან დაკავშირებული კომპანიები შპს "როუდ პლიუსი" და შპს "ბილდინგ გრუპ 17" ადგილობრივ შესყიდვებში იმარჯვებენ. კომპანიებმა 2018 წლიდან 22,108,948 ლარის ტენდერები მიიღეს, აქედან 12,129,286 ლარის შესყიდვები ზუგდიდის მერიაზე მოდის.

- ზუგდიდის მერიამ 2023 წლის 17 სექტემბრის, "ზუგდიდობის" დღესასწაულისთვის საჭირო მომსახურება შპს "სტუდია 1,2,3"-ისგან გამარტივებული წესით 367,054 ლარად, ღონისძიებამდე 6 დღით ადრე, 11 სექტემბერს შეისყიდა. "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" შეფასებით, მომსახურების გამარტივებული წესით შესყიდვა კონკურენციის არსებობას გამორიცხავს, რაც კორუფციული რისკების მატარებელია.

საკრებულოს კომისიებმა და ფრაქციებმა 2024 წლის ბიუჯეტის შემუშავებისას ზუგდიდის მერიას მიმართეს სხვადასხვა რეკომენდაციით, რომელთა ნაწილი სრულად ან ნაწილობრივ აისახა 2024 წლის ბიუჯეტში.

1 მუხლი 24-ე, პიურველ მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა"

2 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 48-ე მუხლის მეორე პუნქტი

თავი 6. არასრულად შევსებული დეკლარაციები და შეუთავსებელი საქმიანობა

ზუგდიდის საკრებულოს თანამდებობის პირებიდან დეკლარაცია ხარვეზებით მხოლოდ ერთმა შეავსო:

ირაკლი გოგოხია

ზუგდიდის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე

ირაკლი გოგოხია 2024 წლის იანვარში შევსებულ დეკლარაციაში მიუთითებს მის წილობრივ მფლობელობაში არსებულ ყველა კომპანიას - შპს "ზუგპეტროილი", შპს "ოილ პრო", შპს "ოილ პრო ჯგუფი", შპს "იმედი 2", შპს "ვიქტორია 2012" და შპს "ჯიპსი". დეკლარაციაში მითითებულია წილის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ, თუმცა, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის" მოთხოვნის მიუხედავად, აღნიშნული წილების მართვის უფლებით სხვა პირისათვის გადაცემის შესახებ ინფორმაცია სამეწარმეო რეესტრის ამონაწერებში არ არის ასახული.

თავი 7. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

ზუგდიდის საკრებულოს რეგლამენტში 2023 წელს დაზუსტდა საკრებულოს, ბიუროს და კომისიის სხდომის გაცდენის საპატიო მიზეზები (ავადმყოფობა, სამსახურებრივი მივლინება, შვებულება, ოჯახის წევრის დაბადება, გარდაცვალება, ავადმყოფობა). საკრებულოს რეგლამენტი ასევე ეყრდნობა "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" ჩანაწერს, რომლის თანახმადაც, საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, თუ იგი "არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში".

მონაწილეობა საკრებულოს სხდომებში:

საკრებულოს წევრებმა საკრებულოს სხდომები **210-ჯერ** გააცდინეს, მათ შორის **163-ჯერ** - არასაპატიო მიზეზით.

საკრებულოს წევრთა შორის ყველაზე მეტი სხდომა (11 სხდომა) არასაპატიო მიზეზით ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრმა, მამუკა ყურაშვილმა გააცდინა, არასაპატიო მიზეზით სხდომების გამცდენთა ლიდერებს შორის არიან: პაატა ადამია, ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი (10 სხდომა) და ჯონი ჯიქია, ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე (8 სხდომა).

მონაწილეობა საკრებულოს კომისიების სხდომებში:

საკრებულოს წევრები აცდენენ კომისიების სხდომებსაც. ჯამში გაცდენის **558** შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის **466** - არასაპატიო მიზეზით.

საკრებულოს წევრთა შორის კომისიის ყველაზე მეტი სხდომა (39 სხდომა) არასაპატიო მიზეზით გააცდინა ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილემ, ჯონი ჯიქიამ, კომისიის სხდომების არასაპატიო მიზეზით გამცდენთა ლიდერებს შორის არიან, ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი პაატა ადამია (33 სხდომა), ამავე ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე დათო ვეკუა (30 სხდომა) და სანდრო სორდია - ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე (30 სხდომა).

საკრებულოს სხდომებზე სიტყვით და მოხსენებით, საკრებულოს კომისიის სხდომებზე სიტყვით გამოსვლის მაჩვენებელი

2023 წელს ზუგდიდის საკრებულოს 45 წევრიდან როგორც სიტყვით, ასევე მოხსენებით გამოსვლის უფლებით არ უსარგებლია საკრებულოს **11** წევრს.

საანგარიშო პერიოდში კი საკრებულოს "მდუმარე" დეპუტატები იყვნენ:

- ბესიკ ჭეჟია - ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილე
- ნიკოლოზ ფიფია - ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრი
- მამუკა ყურაშვილი - ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრი
- ირაკლი ჯანაშია - ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრი
- სოსო გოგოხია - ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრი
- გიორგი ფიფია - ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრი
- თენგიზ ჯიქია - ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი

- დარიკო არქანია - ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” თავმჯდომარის მოადგილე
- მერაბ ჭაჭუა - ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” თავმჯდომარის მოადგილე
- თამარ ჭიჭინაძე - ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წევრი
- მირანდა ესებუა - ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წევრი

დეტალური ინფორმაცია საკრებულოს სხდომებზე სიტყვითა და მოხსენებით გამოსვლის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ცხრილში.

თავი 8. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

ზუგდიდის საკრებულოში დადგენილია ყველა ის რეგულაცია, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა ჩართულობას მუნიციპალიტეტის, მათ შორის საკრებულოს საქმიანობაში:

- საანგარიშო პერიოდში საკრებულოში **2** პეტიცია დარეგისტრირდა, რაზეც გადაწყვეტილება ჯერაც არ არის მიღებული;
- ჯერაც არ არის დანერგილი პეტიციის წარდგენის ელექტრონული სისტემა;
- 2023 წელსაც, წინა წლის მსგავსად ზუგდიდის საკრებულოში გაიმართა ღია კარის სხდომა, სადაც მომხსენებლები ამომრჩევლები და სხვადასხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები იყვნენ, რომლებმაც კონკრეტულ თემებსა თუ დასახლებებში არსებულ გამოწვევებზე მიაწოდეს საკრებულოს ინფორმაცია;
- საკრებულო მერიასთან ერთად მართავს ბიუჯეტის საჯარო განხილვებს;
- საკრებულოს წევრები ჩართული არიან "დასახლების საერთო კრებებში", "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" მიმდინარეობის პროცესში, ასევე ხვდებიან ამომრჩევლებს;
- ზუგდიდის საკრებულო საჯარო ინფორმაციას სრულყოფილად გასცემს.

თავი 9. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა

ზუგდიდის საკრებულოში გენდერული თანასწორობის საბჭო 2018 წლიდან ფუნქციონირებს, 2019 წლის 5 აპრილს საკრებულომ დაამტკიცა საბჭოს სამოქმედო გეგმაც, თუმცა, მიუხედავად ამისა, როგორც წინა პერიოდში, ასევე 2023 წელს გენდერული თანასწორობის საბჭოს:

- სამართლებრივ აქტებისა და სამართლებრივი აქტების პროექტების ექსპერტიზა/ანალიზი არ განუხორციელებია;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა არ შეუმუშავებია;
- საბჭოს საკრებულოსთვის 2022 წლის ანგარიში არ წარუდგენია, ასევე არ მოუმზადებია წინადადებები და რეკომენდაციები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს 2023 წლის ანგარიშის მომზადება;
- გენდერული თანასწორობის საბჭომ 2023 წელს იმსჯელა ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილის, თენგიზ მამფორიას საქციელზე, რომელმაც 2022 წელს საკრებულოს სხდომაზე შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით მიმართა ქალს. საკრებულოს წევრის ეთიკის კოდექსის მოთხოვნის დარღვევის გამო თენგიზ მამფორია გააფრთხილეს.

თავი 10. ზუგდიდის საკრებულოს ხარჯები

სახელფასო ანაზღაურება და ფულადი ჯილდო:

ზუგდიდის საკრებულოს ხარჯებმა, 2023 წელს **1,917,257 ლარი** შეადგინა, რაც **615,027** ლარით მეტია 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. აქედან **1,632,883 ლარი** გაიცა შრომის ანაზღაურების სახით.

დეტალური ინფორმაცია ზუგდიდის საკრებულოს თანამდებობის პირებზე 2023 წელს გაცემული სახელფასო ანაზღაურების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ცხრილში.

საკრებულოს სხვა ხარჯები:

შრომის ანაზღაურების გარდა ზუგდიდის საკრებულომ ხარჯები გასწია მივლინებებზე, ტელეკომუნიკაციაზე, საკრებულოს წევრების საქმიანობის ანაზღაურებასა და საწვავის შესყიდვაზე. ზუგდიდის საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა საკრებულოს შეკრებისთანავე უარი თქვეს სატელეფონო კომუნიკაციის ხარჯების ანაზღაურების მიღებაზე. 2022 წლის ივნისის გადაწყვეტილებით, სატელეფონო ხარჯები გაუუქმდა საკრებულოს ყველა წევრს და მას მხოლოდ აპარატის თანამშრომლებს უნაზღაურებენ.

წინა მოწვევის საკრებულოსაგან განსხვავებით, ზუგდიდის მოქმედი საკრებულო მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ავტომობილებით არ სარგებლობს. შემცირდა საკრებულოს თავმჯდომარისთვის განკუთვნილი საწვავის ლიმიტის მოცულობა 700-დან 400 ლიტრამდე, თავმჯდომარის მოადგილეებისთვის კი - 400-დან 350 ლიტრამდე.

ზუგდიდის საკრებულოს სხვა ხარჯები 2023 წელს (ლარი)



2023 წელს შემცირდა საკრებულოს მიერ საწვავის შესყიდვაზე გაწეული ხარჯი, თუმცა გაიზარდა გახარჯული საწვავის მოცულობა:



საკრებულოს წევრთაგან ყველაზე მეტი საწვავი (**4,170** ლიტრი) საკრებულოს თავმჯდომარემ, გიგა ფარულავამ გახარჯა, ფრაქციის წარმომადგენელთა შორის კი ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ, ირაკლი გოგოხიამ (**1,759** ლიტრი);

დეტალური ინფორმაცია საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ გახარჯული საწვავის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ცხრილში.

კონტროლის განხორციელება:

- საკრებულოს წევრები უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ საზედამხედველო საქმიანობაში, კერძოდ უფრო ხშირად უნდა იყენებდნენ კონტროლის მექანიზმებს, უფრო ქმედითად უნდა ზედამხედველობდნენ სახელმწიფო შესყიდვების პროცესს;

- აღმასრულებელ ორგანოთა საქმიანობის ზედამხედველობის პროცესში აქტიურად უნდა ჩაერთონ საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიები;

- საკრებულომ აქტიურად და კეთილსინდისიერად უნდა გამოავლინოს მუნიციპალიტეტში ინტერესთა კონფლიქტის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, საკრებულოს რეგლამენტის და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტები;

საკრებულოს სხდომები:

- უმჯობესია, საკრებულომ შეამციროს რიგგარეშე სხდომების რაოდენობა, რათა გაუმჯობესდეს ინტერესთა ჯგუფების მობილიზების ხარისხი და მოქალაქეთა ჩართულობა, გაიზარდოს სხდომაზე განსახილველი საკითხებისთვის მომზადების შესაძლებლობა და სათათბირო ორგანოს გამჭვირვალობა.

ანგარიშვალდებულება:

- უნდა გაუმჯობესდეს საკრებულოს და მისი კომისიების სხდომებზე საკრებულოს წევრთა დასწრება. მიგვაჩნია, რომ საკრებულოს ყველა წევრი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს და ესწრებოდეს სხდომებს. საკრებულოს წევრს, სხდომის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, შესაბამისი სანქციებიც უნდა დაეკისროს;

- აუცილებელია საკრებულოს წევრებმა აქტიურად გამოიყენონ საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლის უფლება, წარადგინონ მოსაზრებები განსახილველ საკითხებზე, ინფორმაცია მიაწოდონ როგორც საკრებულოს, ასევე აღმასრულებელ ორგანოს მოქალაქეთა კონკრეტული საჭიროებების შესახებ.

საზოგადოების ჩართულობა:

- ზუგდიდის საკრებულომ უნდა შექმნას ელექტრონული პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები ელექტრონულად წარადგენენ პეტიციას, წინადადებას, მოსაზრებას კონკრეტულ საკითხზე თუ ნებისმიერ ინიციატივას, რაც გაზრდის მოქალაქეთა შესაძლებლობას, ჩაერთონ წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობაში

გენდერული საბჭო:

- უნდა გაუმჯობესდეს გენედერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა. აუცილებელია, საბჭომ გაზარდოს ინიცირებული პროექტების, რეკომენდაციებისა და წინადადებების რაოდენობა.